საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 1 22 0000794228

12/07/2022

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე მუხლის, 36-ე მუხლის, 39-ე მუხლის, მე-40 მუხლის პირველი პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 42-ე მუხლის, 43-ე მუხლის, 126^1 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-8 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით, 2022 წლის 13 ივლისიდან 2022 წლის 22 ივლისის ჩათვლით.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე სარგო განისაზღვრება 3080 (სამი ათას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

4. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 (ერთი) ადგილზე.
5. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.
6. გამოსაცდელი ვადა - 6 თვე.
7. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) განათლება - მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (სასურველია განათლების მენეჯმენტის / განათლების ადმინისტრირების / განათლების მეცნიერებების მიმართულებით);
ბ) სამუშაო გამოცდილება:
ბ.ა. ბოლო 3 წლის განმავლობაში განათლების სფეროში უწყვეტად მუშაობის გამოცდილება;
ბ.ბ. მმართველ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;
გ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, უზრუნველყოფის და განვითარების კვალიფიკაციის შემუშავების და დანერგვის სპეციფიკის ცოდნა, რომელიც შეფასდება კონკურსის გასაუბრების ეტაპზე საკონკურსო თემატიკის ცოდნასთან ერთად;
დ) ინგლისური ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - C1 დონეზე, ქართული ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - C2 დონეზე;
ე) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint) კარგად ცოდნა, რაც დასტურდება წარმოდგენილი რეზიუმეთი.
8. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:
ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ბ) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
გ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
დ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
ე) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
ვ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“;
ზ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის №103/ნ ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“;
თ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №666/ი ბრძანება „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“;
ი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“;
კ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის № 476/ი ბრძანება „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“;
ლ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.

მ) ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს დოკუმენტი - https://eqe.ge/ka/page/static/295/sakhelmdzghvanelo-dokumentebi
ნ) ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები - https://eqe.ge/ka/page/static/71/boloniis-protsesi
9. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
ა) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის პროცესებთან დაკავშირებული ღონისძიებების ადმინისტრირება და მონაწილეობა;
ბ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების/რეფერენსირების პროცედურების ადმინისტრირება და მონაწილეობა;
გ) კვალიფიკაციების ელექტრონული პლატფორმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობა;
დ) საქართველოს ცნობადობის ამაღლებისა და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, საერთაშორისო ფორმატებში/პროცესებში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა;
ე) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით შექმნილი მრჩეველთა საბჭოს შეხვედრების დაგეგმვა და მონაწილეობა;
ვ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის განვითარების პროცესებთან დაკავშირებით შესაბამისი მეთოდოლოგიური მასალებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების შექმნის პროცესის დაგეგმვა და მონაწილეობა;
ზ) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებისა და განვითარების პროცესის ადმინისტრირება;
თ) კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებსა და დაინტერესებული პირებისთვის ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრების, კონსულტაციების განხორციელების პროცესების ადმინისტრირება და მონაწილეობა.
ი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შეთანხმების პროცესის კოორდინაცია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობით;
კ) ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ დოკუმენტებზე ხელის მოწერა ან დავიზება;
ლ) ცენტრის ვებ გვერდზე სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დროული გამოქვეყნების კონტროლი;
მ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
ნ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
10. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:
ა) დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
ბ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
გ) ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი;
დ) პრეზენტაციის მომზადების/ჩატარების უნარი;
ე) დროის ეფექტური მართვის უნარი.
ვ) გუნდური მუშაობის უნარი.
11. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და დოკუმენტაცია წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;

ბ) შესაბამის ველში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი ან/და ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე) ასლი;
გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);
დ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს თუ რატომ სურს კანდიდატს აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობა, მისი პიროვნული თვისებები, სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებული პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება მას მუშაობაში.
12. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:
ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) კანდიდატის შეფასება;
გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.
13. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს გასაუბრების საფუძველზე, საკონკურსო თემატიკის ცოდნის, ანალიტიკური აზროვნების უნარის, ზეპირი კომუნიკაციის უნარის, პრეზენტაციის მომზადების/ჩატარების უნარის, დროის ეფექტური მართვის უნარის, მოტივაციისა და ინგლისური ენის კომპეტენციის გათვალისწინებით, დანართის შესაბამისად.
14. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად ცენტრის დირექტორს წარედგინოს საუკეთესო შედეგის მქონე კონკურსანტი, იმ დათქმით, რომ მისი შედეგი (ქულა) ქულათა შესაძლო მაქსიმალური ოდენობის 50%-ზე მეტი იქნება.
15. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.
16. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მერაბ ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.
17. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.
18. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
19. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
20. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ